აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს თემატური მოკვლევა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ღია მმართველობის შეფასება

თემატური მოკვლევის მიზანი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებში ღია მმართველობის კუთხით არსებული ვითარების შეფასება

კითხვარი დაინტერესებული პირების მიერ საკუთარი პოზიციების წარმოსადგენად

ორგანიზაციის სამართლებრივიფორმა, დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი	აჭარის ავტონომიურირ ესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ს/კ 245427667)
შემსრულებლის სახელი, გვარი დაპოზიცია	მაია ხაჯიშვილი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი
მისამართი	ლ.გუდიაშვილის ქ, N4
ტელ.	24-53-72
ელ-ფოსტა	administracia@moecs.ge
ინფორმაციის ჩაბარების ბოლო ვადა	21 თებერვალი, 2023 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	ღია მმართველობის საბჭოს სამდივნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი მალვინა ჯიბლაძე - 577032104 +995(0) 32 228 54 85 malvina.jibladze@sca.ge

ძირითადი მოთხოვნები

საბჭო იწვევს დაინტერესებულ მხარეებს (რეგიონის აღმასრულებელ ორგანოებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს) წერილობითი ფორმით წარმოადგინონ დოკუმენტურად გამყარებულისაკუთარი პოზიციები მოკვლევის საგანთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი პოზიცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ პირობებს:

- ფაილი არ უნდა აღემატებოდეს 25 MB-ს;
- ფაილი უნდა იყოს მხოლოდ WORD-ის ფორმატში;
- ტექსტის სიდიდე თითოეულ კითხვაზე უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 500 სიტყვას;

- ყველა ინფორმაცია უნდა იქნეს მოქცეული ერთ ფაილში, მათ შორის დანართები, დამატებითი ინფორმაცია, ფოტოები, მასალები და ა.შ.
- წერილობით დასაბუთებულ მოსაზრებაში კარგად უნდა ირკვეოდეს ავტორის/მომხსენებლის ვინაობა: (მოსაზრების შედგენის თარიღი, ავტორის/მომხსენებლის საკონტაქტო ინფორმაცია - ელ-ფოსტა, ტელ. ნომერი);
- დასაბუთებული მოსაზრების დასაწყისში საჭიროა მოკლე რეზიუმე წინამდებარე ტექსტის შესახებ;
- აუცილებელია ტექსტის დასაწყისში მოკლედ იყოს წარმოდგენილი პოტენციური მომხსენებლის შესახებ:
  - იურიდიული პირის შემთხვევაში - ორგანიზაციული ფორმა, ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, საქმიანობის სფერო.
  - ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საქმიანობის სფერო.
- არ არის აუცილებელი ჯგუფის მიერ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. შეგიძლიათ პასუხი/პასუხები წარმოადგინოთ მხოლოდ იმ კითხვა/კითხვებზე, რომლებზეც დასაბუთებული მოსაზრებები გაგაჩნიათ. დასაბუთებული მოსაზრების გამოგზავნისას, აუცილებლად მიუთითეთ ის კითხვა, რომელსაც პასუხობს თქვენი მოსაზრება;
- ტექსტში მოცემული უნდა იყოს დეტალური ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც სამუშაო ჯგუფს მისცემს შესაძლებლობას გააკეთოს სწორი ანალიზი/დასკვნა.
- ტექსტში ასევე შესაძლოა იყოს ცალკეული რეკომენდაციები და შეხედულებები.

წარმოდგენილი პოზიცია უნდა პასუხობდეს შემდეგ შეკითხვებს:

1. რა მექანიზმები ან საშუალებები აქვს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებს (შემდგომში, აღმასრულებელ ორგანოებს) ინსტიტუციური ღიაობისთვის?**ინსტიტუციური ღიაობის უზრუნველსაყოფად სამინისტრო იყენებს იმ მექანიზმებს, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით, ასევე, რისი საჭიროებაც იკვეთება ბენეფიციარებთან შეხვედრების დროს.კერძოდ, მუდმივ რეჟიმში ხდება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განახლება, ამასთან ყოველდღიურად ახლდება ინფორმაცია სამინისტროს საქმიანობის თაობაზე ვებგვერდზე www.moecs.ge, ასევე, სამინისტრო გვერდზე სოციალურ ქსელში www.facebook.com სამინისტროს ხელმძღვანელობა და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობენ მასმედიასთან, სატელევიზიო/რადიო გადაცემებში ჩართვის გზით საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების შესახებ.**

2. როგორია აღმასრულებელი ორგანოების გამჭვირვალობის ხარისხი შიდა და მესამე მხარეების შეფასებების მიხედვით (კვლევები, ინდექსები, შეფასების ანგარიშები, რეიტინგები თუ სხვა)?**წლების განმავლობაში აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ლიდერია ორგანიზაცია - IDFi-ის მიერ ჩატარებულ კვლევებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის.**

3. რა შიდა პოლიტიკის თუ სტრატეგიული დოკუმენტები მოქმედებს აღმასრულებელ უწყებებში ღია მმართველობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე? რა კონკრეტულ გზებს ან საშუალებებს ითვალისწინებს ისინი ამ მიმართულებებით? **სამინისტროს დებულებით, შინაგანაწესითა და ფუნქციათა აღწერილობით განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა ჩართულობას.მაგალითად: სამინისტროს მიერ გამოცხდებული კონკურსის თაობაზე ინფორმაცია იდება ვებგვერდზე, სადაც მიეთითება საკონტაქტო ნომერი, რომელზე მიმართვის შესაძლებლობაც ექნება დაინტერესებულ პირს, ასევე ფუნქციონირებს განცხადებების ონლაინ მიღების ფორმატიც, სამინისტროს შესაბამისი თანამშრომელი ასევე ორგანზიებას უწევს მოქალაქეთა მიღებას სამინისტროს ხელმძღვანელების მიერ, მაგალითისთვის 2022 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა 1955 ადამიანი.**
4. როგორია აღმასრულებელი ორგანოების ვებგვერდების მდგომარეობა - რამდენად ითვალისწინებს ისინი ღია მმართველობის საკითხებს? არის თუ არა ვებგვერდებზე ჩართულობის ონლაინ მექანიზმები და როგორია ისინი? **სამინისტროს ვებ-გვერდზე ყოველდღიურ რეჟიმში ახლდება სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და პროაქტიული ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ვებგვერდი ასევე მოიცავს სამინისტროს მეილს, ცხელ ხაზს და FB გვერდს, რომელთა მეშვეობითაც სამუშაო საათებში მოქალაქეებთან უკუკავშირი უზრუნველყოფილია. ვებგვერდი მოიცავს ასევე იუთუბ არხის შესაბამის ღილაკს, რომელზეც იდება ვიდეო მასალა სამინისტროს საქმიანობის თაობაზე.**

5. როგორია საზოგადოების ჩართულობის ხარისხი? რამდენად იყენებს საზოგადოება ონლაინ პლატფორმებს ორგანოებთან ურთიერთობისთვის, რა პლატფორმებია ამისთვის (ვებგვერდი, სპეციალური გვერდები, აპლიკაციები, ა.შ.

როგორც ზემო პუნქტებში აღინიშნა, სამინისტროს საიტზე განთავსებულია, როგორც fb გვერდის, ასევე იუთუბისა და მეილის მონაცემები, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს საშუალება აქვთ მიიღონ უახლესი ინფორმაცია სამინისტროს გეგმებისა და საქმიანობის თაობაზე და ასევე მიიღონ უკუკავშირი მათთვის საინტერესო თემის შესახებ. მაგალითად, 2022 წლის განმავლობაში სამინისტროს Fb-გვერდის მეშვეობით კონსულტაცია გაეწია 310 მოქალაქეს, ხოლო სამინისტროს მეილის მეშვეობით კი 2084 წერილს გაეცა პასუხი.

6. როგორია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების გამოცდილება?

a. რა ინფორმაცია ქვეყნდება ვებგვერდებზე და რა პერიოდულობით ხდება მისიგანახლება

b. ინფორმაციის რა ნაწილია წაკითხვად ფორმატში (machine-readable[1])?

c. რამდენად ჩაშლილია ინფორმაცია (მაგალითად, გენდერულ, ასაკობრივ თუსხვა თვალსაზრისით)?

პროაქტიულად ინფორმაციის გამოქვეყნებას სამინისტრო ვებ-გვერდზე ახდენს „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებით დამტკიცებული დოკუმენტებისა და დადგენილი ვადების შესაბამისად.

7. როგორია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აღმასრულებელ ორგანოებში?

a. გამოთხოვილი ინფორმაციის სტატისტიკა - მოქალაქეების და იურიდიული პირების მიხედვით გამიჯნული

b. ინფორმაციის გამოთხოვაზე პასუხების სტატისტიკა - მოქალაქეების და იურიდიული პირების მიხედვით გამიჯნული, პასუხის მიწოდების ვადების მითითებით

c. განმარტება და დასაბუთება ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევებზე.

2022 წლის განმავლობაში სამინისტროდან სულ გამოთხოვილ იქნა 25 საჯარო ინფორმაცია, მათგან 13 ეკუთვნოდა ფიზიკურ პირს, ხოლო დანარჩენი იურიდიულ პირებს. სამინისტროს მიერ დაკმაყოფილდა ოცდახუთივე განცხადება, კანონით დადგენილ ვადებში.

8. როგორ არის უზრუნველყოფილი საზოგადოების ჩართულობა აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში?

a. ჩართულობის კონკრეტული მაგალითები
b. საჯარო შეხვედრების, განხილვების, დისკუსიების ან სხვა ღონისძიებების სტატისტიკა - მათზე დამსწრე პირების მითითებით, სადაც გამიჯნულია დამსწრე/მონაწილე საჯარო დაწესებულების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მოქალაქეების რაოდენობისშესახებ ინფორმაციები.
c. ამ ჩართულობის მაგალითებს რა ცვლილებები მოჰყვა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისთვის (რა შეიცვალა უწყების საქმიანობაში, შესაბამის დოკუმენტში ან სხვა საქმიანობაში, რისთვისაც გამიზნული იყო ჩართულობა)?
d. აწარმოა თუ არა ორგანომ უკუკავშირი რაიმე ფორმით? მათ შორის, დაასაბუთა თუ არა ცვლილებები ან ცვლილებების შეტანაზე უარი?

მაგალითად,სამინისტრო უზრუნველყოფს ყოველი შემდგომი წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას, ყოველი წლის მაისში. 2022 წლის მაისის თვეში სამინისტრომ მოაწყო 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა, სადაც მოწვეულ იქნა როგორც სამინისტროს სისტემაში მყოფი დაწესებულებათა ხელმძღვანელები ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები:

1. **დემოკრატიის ინსტიტუტი: ალექსანდრე ლორთქიფანიძე;**
2. **ფიზიკური პირი: თაზო მჟავანაძე.**

პროექტის განხილვის შემდეგ, უმაღლესი საბჭოს მიერ პროექტზე შენიშვნების დადგენისას, დამკვიდრებული პრაქტიკისა და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმეორედ განიხილება საჯაროდ სექტემბრის თვეში, არსებული შენიშვნების გათვალისწინებით. ამასთან, საჯარო განხილვისას გამოთქმული მოსაზრებების განხილვა ხდება შეხვედრის დროს და შესაძლებლობის შემთხვევაში მათი ასახვა შემოდგომაზე საბოლოო რედაქციაში.გარდა აღნიშნულისა,სისტემატურად იმართება ხელმძღვანელი პირების შეხვედრები საკურაციო სფეროების მიხედვით და პროექტების ბენეფიციარებთან.

---

[1] ამ დოკუმენტისა და მოკვლევის მიზნებისათვის machine-readable ფორმატში იგულისხმება დოკუმენტის ნებისმიერი ფორმატი, რომელიც იძლევა დოკუმენტში ინფორმაციის მოძიების, კოპირების და სხვა ფორმით დამუშავების საშუალებას. იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტი იტვირთება PDF ფორმატის სახით, აღნიშნული არ უნდა იყოს დასკანირებული PDF.

9. ბიუჯეტის პროექტის, პრიორიტეტებისა და პროგრამების განხილვის პროცესში როგორია საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი?

a. რამდენი საჯარო შეხვედრა ჩატარებულა?
b. როგორია დასწრების სტატისტიკა, რამდენი იურიდიული პირის წარმომადგენელი (მათ შორის, გამიჯნულად საჯარო უწყებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები) და ფიზიკური პირი ესწრებოდა?
c. ბიუჯეტის განხილვაში საზოგადოების მონაწილეობის სხვა რა მექანიზმებიგამოიყენება?
d. როგორია ამ განხილვების შედეგები? რა ინიციატივები გაჟღერდა და რაცვლილებები მოჰყვა ამ განხილვებს?
e. აწარმოა თუ არა ორგანომ უკუკავშირი რაიმე ფორმით? მათ შორის, დაასაბუთა თუ არა ცვლილებები ან ცვლილებების შეტანაზე უარი?

საჯარო შეხვედრები ტარდება ყოველწლიურად, მათ შორის ბიუჯეტის განხილვის მიზნით წელიწადში ორჯერ, შეხვედრები ინტერაქტიულ ხასიათს ატარებს და უზრუნველყოფილია დამსწრე მხარეთა ჩართულობა მსჯელობის პროცესში.

10. თქვენი აზრით, ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროექტისა და პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართულობისთვის, რამდენად გასაგებად და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით მიეწოდება ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს და ხელს უწყობს თუ არა ინფორმაციის მიწოდების მეთოდები საზოგადოების მონაწილეობას? **მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდება მოხდეს სამიზნე ჯგუფის გათვალისწინებით, და კითხვებისა და ინტერესის შემთხვევაში სამინისტრო მზად არის მოახდინოს სხვადასხვა სპეციფიკისა და ტერმინების ადაპტირება და მსენელამდე ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად ივლისი-აგვისტოს თვეებში მიმდინარეობს ბიუჯეტის დაგეგმვის მიზნით სეგმენტურად შესაბამის პოტენციურ ბენეფიციარებთან შეხვედრები.**

11. ანგარიშვალდებულების რა ფორმებს იყენებენ აღმასრულებელი ორგანოები? **მინისტრი პერიოდულად აბარებს ანგარიშს მთავრობასა და უმაღლეს საბჭოს საქმიანობის თაობაზე, ამასთან როგორც უკვე აღინიშნა ყოველდღიურად ხდება საქმიანობსი შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოქალაქეებისათვის ვებგვერდის მეშვეობით, ასევე აღსანიშნავია მასმედიასთან ურთიერთობა, რომლის მეშვეობითაც ხშირად ვრცელდება ინფორმაცია სამინისტროს პროგრამებისა დ აქვეპროგერამების შესახებ და ასევე გფაწეული საქმიანობის თაობაზე.**

12. როგორ შეუძლიათ აღმასრულებელ ორგანოებს გააუმჯობესონ ანგარიშვალდებულება საზოგადოების მიმართ, რა კონკრეტული მეთოდებით? **მოსახლეობასთან და სამიზნე ჯგუფებთან შეხვედრების რაოდენობის გაზრდით, ვებგვერდისთვის „ონლაინ კონსულტაციის“ ფუნქციის დამატებით,რაზედაც სამინისტროში ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა.**

13. თქვენი მოსაზრებით, რა უნდა გააკეთოს აღმასრულებელმა ორგანოებმა იმისთვის, რომ გაიზარდოს სამოქალაქო ჩართულობა მათ საქმიანობაში? რა უნდა გააკეთოს სხვა პირებმა ამისთვის? **სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფთან მინისტრისა და სამინისტროს სხვა წარმომადგენლის ვიზიტებს, ინფორმაციის გაცვლისა და საქმიანობის ანგარიშის კუთხით.**

დამატებითი კომენტარი:	
ინფორმაციის გაგზავნის თარიღი:	06.02.2023